საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 74 (11078) | პარასკევი, 28 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად ირჩიევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს.

უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

მოხსენება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ გააკეთა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

გუშინ კრემლში

კრემლის დიდ სასახლეზე სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი ფრიალებს. 27 მარტს აქ მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადასაჭრელად ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკიდან, ყველა მხარიდან და ოლქიდან ჩამოვიდნენ მშრომელთა დეპუტატები, რომლებიც 1958 წლის 16 მარტს არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ამ არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევმა ბლოკმა კვლავ მოიპოვა სრული და განუყოფელი გამარჯვება. ხალხის რჩეულთა შორის არიან მოწინავე მუშები და გლეხები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები.

უმაღლესი საბჭო შეიკრიბა უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რომლითაც მოცულია ჩვენი ქვეყნის ხალხი. ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელმა სესიის წინა დღეებში, აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ წინადადებათა განხილვაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის. ამ საყოველთაო-სახალხო განხილვაში არაჩვეულებრივი ძალით გამოვლინდა ერთიანობა ჩვენი ხალხისა და კომუნისტური პარტიისა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს წინ, კომუნიზმის გზით.

კავშირის საბჭოში

დილის 10 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. დარბაზში ბევრი სტუმარია. სავსეა დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები. ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე.**

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

უხუცესთა საბჭოს დავალებით მეხუთე მოწვევის კავშირის საბჭოს პირველ სესიას მოკლე სიტყვით ხსნის კავშირის საბჭოს უხუცესი დეპუტატი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყაზანის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი **ა. ე. არბუზოვი.** იგი ამბობს, რომ სესია იხსნება ჩვენი დიადი სამშობლოს უმაგალითო აყვავების პირობებში. მილიონობით საბჭოთა ადამიანის — ახალი საზოგადოების შემქმნელებისა და მშენებლების შთაგონებულ შრომას, რომლებსაც კომუნისტთა ლენინური პარტია ხელმძღვანელობს, შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. შემდეგ იგი ლაპარაკობს დეპუტატების კეთილშობილურ როლზე. ჩვენ, ამბობს იგი, როგორც ხალხის რჩეულებმა, მისმა მსახურებმა, პირნათლად უნდა გავამართლოთ ხალხის მაღალი ნდობა, მთელი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

დეპუტატ **ნ. ვ. პოდგორნის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა ქალაქ მოსკოვის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებისა და უკრაინის სსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით, სესიამ ერთხმად აირჩია კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი,** ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი.

შემდეგ აგრეთვე ერთხმად აირჩიეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დეპუტატები **ნ. უ. ბაზანოვა** (ყაზახეთის სსრ), **ნ. პ. ბაჟანი** (უკრაინის სსრ), **ს. კ. კამალოვი** (უზბეკეთის სსრ), **ი. დ. მუსტაფაევი** (აზერბაიჯანის სსრ).

შემდეგ სესიამ დაამტკიცა კავშირის საბჭოს სხდომებისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომების რეგლამენტი.

დეპუტატ **დ. ს. პოლიანსკის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა უხუცესთა საბჭოს დავალებით, კავშირის საბჭომ ერთხმად მიიღო სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევის შესახებ.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
4. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნა.
5. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ — მომხსენებელი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.
6. ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ (სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ა. გრომიკოს განცხადება საბჭოთა მთავრობის სახელით).

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება — კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე მოხდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა და საბჭოთა კავშირის მთავრობის შექმნა, აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

შემდეგ კავშირის საბჭო შეუდგა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას — პალატის სამანდატო კომისიის არჩევნებს. დეპუტატ **ა. ი. ხნეჩკუსის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა უხუცესთა საბჭოს დავალებით, სამანდატო კომისია არჩეულ იქნა 21 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ლ. ნ. ეფრემოვი.**

კავშირის საბჭომ აირჩია პალატის მუდმივი კომისიები. დეპუტატ **ნ. ვ. კისელიოვის** წინადადებით კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია არჩეულია 31 კაცის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **დ. ს. პოლიანსკი.**

დეპუტატ **რ. ე. მელნიკოვის** წინადადებით სესია ირჩევს საბიუჯეტო კომისიას 39 კაცის რაოდენობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ი. ხ. ხენინი.**

დეპუტატ **კ. ტ. მაზუროვის** წინადადებით საგარეო საქმეთა კომისია არჩეულია 23 კაცის რაოდენობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **მ. ა. სუსლოვი.**

ამით მოთავრდება კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

ეროვნებათა საბჭოში

13 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ნ. ა. ბულგანინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ს. კოროტჩენკოს, ა. ნ. კოსიგინს,** რომლებიც მთავრობის ლოჟებში გამოჩნდნენ.

ეროვნებათა საბჭოს სხდომა გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. მ. კირხენშტეინმა.**

— ეს სესია ღირსშესანიშნავ დროს იხსნება, — თქვა ამხ. კირხენშტეინმა, — ჩვენი მძლავრი სამშობლო აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, არ იშურებენ ძალღონესა და ენერგიას, იბრძვიან რა სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების როლი და პასუხისმგებლობა, გაიზარდა მშრომელთა მოთხოვნები თავიანთ რჩეულთადმი. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, — ამბობს იგი დასასრულ, რომ სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იქნებიან თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, ერთგულად ემსახურებიან კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას.

დეპუტატ **მ. ა. იასნოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა რუსეთის სფსრ და ლატვიის სსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **ი. ვ. პეივე,** ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან დეპუტატები **ი. ა. კაიროვი, პ. გ. ტიჩინა, კ. კონდუჩალოვა, ტ. ი. კისელიოვი.**

ეროვნებათა საბჭოს სხდომებისა და პალატების გაერთიანებული სხდომების რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ დეპუტატ **დ. ს. გლადკის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა უხუცესთა საბჭოს დავალებით, სხდომამ ერთხმად მიიღო სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევის შესახებ.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
4. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნა.
5. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ — მომხსენებელი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.
6. ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ (სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ა. გრომიკოს განცხადება საბჭოთა მთავრობის სახელით).

შემდეგ ეროვნებათა საბჭომ აირჩია პალატის სამანდატო კომისია. დეპუტატ **მ. ა. აბდურაზაკოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა უხუცესთა საბჭოს სახელით, სამანდატო კომისია არჩეულია 21 კაცის რაოდენობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ხ. ვ. ჩერვონენკო.**

დეპუტატ **ნ. დურდაევას** წინადადებით ირჩევენ ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას 31 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **დ. რასულოვი.**

დეპუტატ **ტ. გ. ალახვერდიევის** წინადადებით ირჩევენ პალატის საბიუჯეტო კომისიას 39 კაცის რაოდენობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **მ. ა. იასნოვი.**

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისია დეპუტატ **კ. ი. სატპაევის** წინადადებით არჩეულია 23 კაცის რაოდენობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ნ. ა. მუხიტდინოვი.**

დეპუტატ **ი. ფ. კლიმოვის** წინადადებით შექმნილია ეკონომიური კომისია 31 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ო. ი. ივაშჩენკო.**

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

(საკდესი).

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

17 საათზე გაიხსნა **კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს** გაერთიანებული სხდომა. კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ორივე პალატის დეპუტატები და მრავალი სტუმარი, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

თავმჯდომარის მაგიდასთან კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **პ. პ. ლობანოვის,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ვ. პეივეს,** პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეების, ხოლო მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ა. ბ. არისტოვის, ნ. ი. ბელიაევის, ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. გ. იგნატოვის, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვის, ო. ვ. კუუსინენის, ა. ი. მიქოიანის, ნ. ა. მუხიტდინოვის, მ. ა. სუსლოვის, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, პ. ნ. პოსპელოვის, დ. ს. კოროტჩენკოს, ი. ე. კალნბერზინის, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინის, კ. ტ. მაზუროვის, ვ. პ. მჟავანაძის** გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სესია იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევას. წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ, რომელიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პარტიული ჯგუფის, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით გამოდის დეპუტატი **ა. ბ. არისტოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს.** შეკრებილნი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიესალმებიან ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს. შემდეგ სესია ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის 15 მოადგილეს მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით, პრეზიდიუმის მდივანს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 წევრს.

თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი** აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ნ. ა. ბულგანინის** განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად და იმის გამო, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მინისტრთა საბჭოს თავისი მოვალეობანი ამოწურულად მიაჩნია და იხსნის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

დეპუტატ **ი. ვ. კაპიტონოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სვერდლოვსკის ოლქების, უკრაინისა და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დეპუტატთა ჯგუფის სახელით, სესია იღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა იხსნის რწმუნებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, და იწონებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას.

წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა კ. ე. ვოროშილოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემომაქვს დაინიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან)** და დაევალოს მას წარმოუდგინოს დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის შემადგენლობა.

ამხანაგებო! მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, როგორც ჩვენი მუშათა კლასის სახელოვან შვილს. 40 წელზე მეტია ნიკიტა სერგის-ძე დაუცხრომელი ენერგიით, სიმტკიცითა და პრინციპულობით ერთგულად ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის, ჩვენი ლენინური პარტიის დიად საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს **(ტაში).**

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ლენინური იდეების განსახორციელებლად.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მთელ რიგ იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დროს, რომლებიც XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეხვდა წინააღმდეგობას XX ყრილობის ხაზისადმი მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის მცირე ანტიპარტიული ჯგუფის მხრივ. მთელმა ჩვენმა პარტიამ ერთსულოვნად დაგმო ეს ანტიპარტიული ჯგუფი.

ჩამოიშორა რა თავის გზაზე ეს ჯგუფი, ჩვენი ლენინური პარტია კიდევ უფრო მტკიცედ, მთელი ხალხის მხარდაჭერით მიუძღვის საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, ავლინებს რა ახალ შესაძლებლობებს, ახალ რეზერვებს ამ მოძრაობის დასაჩქარებლად.

ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიამ მიიღო დიდი ღონისძიება მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის — ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის საფუძვლის — შემდგომი აღმავლობისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ დასახა და ახორციელებს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, ფართოდ ნერგავს რა მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს.

ავითარებს რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს და ახორციელებს რა მათ, ჩვენმა პარტიამ მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების უფლებათა გაფართოებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

დიდმნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიება იყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რომელსაც უკვე მოჰყვა დადებითი შედეგები.

მკვეთრ აღმავლობას განიცდის ახლა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. გაკეთდა დიდი საყოველთაო-სახალხო საქმე — ატეხილი და ათვისებულია 36 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებაში. წარმატებით წყდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა — უახლოესი წლების განმავლობაში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერი- ... სულ მოსახლეზე რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების დონის მხრივ **(მქუხარე ტაში).**

ამ წლების განმავლობაში, ამხანაგებო, განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა. საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას პოულობენ ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციისათვის, რაც ნიშნავს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ახალ ეტაპს.

ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო, მსოფლიო-ისტორიულმა წარმატებებმა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი და პრესტიჟი. უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა. ყოველივე ეს ჩვენი საბჭოთა ხალხის, ჩვენი ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუღალავი შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფია. **(ხანგრძლივი ტაში).**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთელ ამ დიდ შემოქმედებითს მუშაობაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის ჩვენს ძვირფას ამხანაგს ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს **(ტაში),** მის არაჩვეულებრივ შემოქმედებითს ნიჭსა და ჭეშმარიტად დაუშრეტელ, დაუცხრომელ ენერგიასა და ინიციატივას. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია დაუცხრომელ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად. საბჭოთა კავშირი ახორციელებს აქტიურ საერთაშორისო პოლიტიკას, ხელთ აქვს ინიციატივა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, როგორც თქვენთვის ცნობილია, საფუძვლად უდევს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები. ამ პოლიტიკას მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ამხანაგ ხრუშჩოვის სახელი განუყრელად დაკავშირებულია თვალსაჩინო წარმატებებთან საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).** გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა მთელი მსოფლიოს ხალხები იცნობენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს როგორც მშვიდობის ყველაზე მტკიცე, პრინციპულ და დაუცხრომელ დამცველს, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის მებრძოლს. და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ადამიანი, რომელიც სათავეში უდგას ჩვენს პარტიას, ასე შეუპოვრად, ასე უნარიანად, ასე გაბედულად ეწევა ამ დიდ საკაცობრიო მუშაობას. **(ხანგრძლივი ტაში).** მისმა დაუცხრომელმა შრომამ ამ დარგში, ვიზიტებმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში, მისმა საუბრებმა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან და მსოფლიო პრესის წარმომადგენლებთან მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი სამშობლოს მეგობართა წრე და აამაღლა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. **(ტაში).**

სათავეში ჩაუდგება რა საბჭოთა მთავრობას, ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი უეჭველია კიდევ უფრო მეტი ენერგიით და დაუცხრომლად განახორციელებს პრინციპულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას. **(მქუხარე ტაში).**

ძვირფასო ამხანაგო დეპუტატებო! შემომაქვს რა წინადადება, რომ ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი დაინიშნოს სსრ კავ- ... მჯდომარედ, მინდა ამასთანავე აღვნიშნო მისი განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე.

ჩვენმა პარტიამ აღადგინა პარტიული ცხოვრებისა და პარტიული მშენებლობის ლენინური ნორმები. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელი, წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი. კიდევ უფრო ამაღლდა ჩვენი პარტიის ავტორიტეტი, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მტკიცეა პარტიისა და ხალხის ერთიანობა. და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი რჩება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოვიტანო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შემდეგი პროექტი.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

მიენდოს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოიტანოს წინადადებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ".

ნება მიბოძეთ ამხანაგო დეპუტატებო, გამოვთქვა რწმენა, რომ ყველა თქვენგანი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს წინადადებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დანიშვნის შესახებ, და უმაღლესი საბჭო მიანდობს ამხანაგ ხრუშჩოვს უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოადგინოს საბჭოთა კავშირის მთავრობის შემადგენლობა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და ავალებს მას შემოიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წინადადება სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში — დეპუტატები და სტუმრები ფეხზე ამდგარნი მიესალმებიან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება დეპუტატებმა და სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

შემდეგ დეპუტატებმა მიიღეს წინადადება, რომელიც შეიტანა სხდომის თავმჯდომარემ, რომ დაევალოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებს წინასწარ განიხილონ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის კანონის პროექტი, აგრეთვე წინადადებანი, რომლებიც შემოვა სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განხილვის მსვლელობაში.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1958 წლის 27 მარტს

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენი გადაწყვეტილებით თქვენ ეს არის დიდი ნდობა აღმომიჩინეთ და მაღალი პატივი დამდეთ, დამნიშნეთ რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ ნდობისა და პატივისათვის და ჩემი მხრივ პირობა მოგცეთ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა გავამართლო თქვენი ნდობა. ერთგულად ვემსახურები ჩემს ხალხს, ჩემს პარტიას, არ დავიშურებ არც ძალას, არც ჯანმრთელობას, არც სიცოცხლეს იმ დიადი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც დასახეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად შემოტანილია საკითხი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

ეს საკითხი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დასმული იყო საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და მუშათა, კოლმეურნეთა მილიონიანი მასების, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლების, საბჭოთა არმიის მეომრების მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, გაგაცნოთ ამ საყოველთაო-სახალხო განხილვის წინასწარი შედეგები. 1 მარტიდან 25 მარტამდე, როგორც ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებსა და საბჭოთა დაწესებულებებში მოეწყო 576.879 საერთო კრება, რომლებსაც დაესწრო 49 მილიონ 900 ათასი მშრომელი. ამ კრებებზე 3 მილიონზე მეტმა კაცმა გააკეთა შენიშვნები და შეიტანა წინადადებანი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხებზე.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობა ფართოდ შუქდებოდა ჩვენი გაზეთების და ჟურნალების ფურცლებზე. ამ ხნის განმავლობაში ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, ჟურნალების, რადიოს და ტელევიზიის რედაქციებმა მიიღეს 126 ათასამდე სტატია და წერილი წინადადებებით მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ, აქედან გამოქვეყნებულია 102.941. მარტო სამ ცენტრალურ გაზეთში — „პრავდაში", „იზვესტიაში" და „სელსკოე ხოზიაისტვოში" მიღებულია 5.975 სტატია და წერილი და გამოქვეყნდა 1.508. ეს მონაცემები მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში დემოკრატიის პრინციპები არა მარტო გამოცხადებულია, არამედ თანმიმდევრულადაც ხორციელდება.

საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალისტურ დემოკრატიას ახასიათებს ხალხის გიგანტური უმრავლესობის ფაქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და რომ კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე საზოგადოების ყველა საქმის გაუძღვებიან უშუალოდ თვითონ მშრომელები, რომლებიც დიდად არიან დაინტერესებულნი საწარმოო ძალების განვითარებით, ეკონომიკის, კულტურის განუწყვეტელი ზრდით და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებით. მტკიცედ ატარებს რა დემოკრატიული მართვის ლენინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების კურსს, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, ჩვენი პარტია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღოს ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივა, პოლიტიკური და შრომითი აქტივობა.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის დააყენა რა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხი, ემყარებოდა რა მშრომელთა კოლექტიურ აზრს, პარტიას მხედველობაში ჰქონდა გამოენახა

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის ამოცანების გადაჭრის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ინტერესებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელების ინტერესებისათვის. ამასთან პარტია ითვალისწინებდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხის შარშანდელი საყოველთაო-სახალხო განხილვის ნაყოფიერ გამოცდილებას. განხილვის მიმდინარეობაში მშრომელებმა წამოაყენეს მრავალი, მეტად ძვირფასი წინადადება, რომლებიც შემდეგ გათვალისწინებულ იქნა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონში. ახლა ყველა ხედავს, თუ რა უდიდესი შედეგები მისცა ჩვენს ქვეყანას მრეწველობის მართვის გარდაქმნამ, რომელმაც აამაღლა მოკავშირე რესპუბლიკების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლი საწარმოთა ხელმძღვანელობაში, ახალი მილიონობით მუშა და მოსამსახურე ჩააბა წარმოების მართვაში, შექმნა პირობები სოციალისტური ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა საკოლმეურნეო წყობილების განვითარების იმ ღონისძიებებისადმი, რომლებსაც პარტია სახავს, და ეს მიიჩნია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის დიდმნიშვნელოვან პირობად.

რა გვიჩვენა ახლანდელმა საყოველთაო-სახალხო განხილვამ?

ჯერ-ერთი, მან გვიჩვენა, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა, დროული, სავსებით მომწიფებული და სწორია. ამ ღონისძიებებს მხურვალედ დაუჭირა მხარი და ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ხალხმა.

მეორე, განხილვამ ცხადყო, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად დაინტერესებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელებით. გამოითქვა ბევრი მეტად ძვირფასი რჩევა და შენიშვნა, გაკრიტიკებულ იქნა კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი, შემოტანილ იქნა კონკრეტული წინადადებანი და დამატებანი. ყოველივე ეს დაეხმარება უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს კანონი, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის ნებასა და ინტერესებს, შეესაბამება საბჭოთა კავშირის, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის თანამედროვე განვითარების მოთხოვნებს.

მესამე, საყოველთაო-სახალხო განხილვის ფართო გაქანებით ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური დემოკრატია, რომელიც საქმით უზრუნველყოფს მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში. სწორედ ამას მოწმობს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გამოსვლების შემოქმედებითი ხასიათი, გამოსვლებისა, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

მეოთხე, საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა, ისევე როგორც მრეწველობის მართვის ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებულ გარდაქმნას, აქვს არა მარტო უდიდესი პრაქტიკული სახალხო-სამეურნეო, არამედ აგრეთვე დიდი თეორიული, ჭეშმარიტად საპროგრამო მნიშვნელობა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. მრავალ სიტყვიერ და ბეჭდვით გამოსვლაში საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში აღნიშნული იყო, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც შემოქმედებითად იყენებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ამდიდრებს მას ახალი დებულებებითა და დასკვნებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

მეხუთე, ახლანდელი საყოველთაო-სახალხო განხილვის თავისებურება ის იყო, რომ იგი მიმდინარეობდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დღეებში, როცა ფართოდ განიხილავდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს, აჯამებდნენ მუშაობის შედეგებს, სახავდნენ საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. საყოველთაო-სახალხო განხილვის მონაწილეებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი სამართლიანად მიაჩნდათ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმის განუყოფელ და შემადგენელ ნაწილად.

საყოველთაო-სახალხო განხილვა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესანიშნავი შედეგები ახალი მკაფიო და მძლავრი დემონსტრაციაა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობისა, მათი შეუდრეკელი ნებისა განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, იარონ წინ, დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები ერთადერთი სწორი გზით.

I

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები

ამხანაგო დეპუტატებო! საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხი უნდა განვიხილოთ როგორც განუყოფელი ნაწილი მუშაობისა, რომელსაც პარტია ახორციელებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, ვითარების შესაბამისად, საჭიროა ვაუმჯობესოთ და შევცვალოთ ხელმძღვანელობის ფორმები, გარდავქმნათ მართვის აპარატი.

ლენინის ეს მითითება მთლიანად სწორი რჩება სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში. საბჭოთა საზოგადოება, მისი ეკონომიკა და კულტურა ერთ ადგილზე როდი დგანან, ისინი განუწყვეტლივ ვითარდებიან. ბუნებრივია, რომ იზრდება მოთხოვნები აგრეთვე მეურნეობის მართვის ფორმებისადმი.

ამ ბოლო დროს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დიდი მუშაობა გასწიეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში პარტია ემყარება იმას, რომ კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე იზრდება მისი მშენებლების — შრომისა და შემოქმედებითი აზრის ადამიანების შეგნება, იზრდება თვითეული ადამიანის პასუხისმგებლობა საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის. ეს ჩვენგან მოითხოვს ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მასების ინიციატივა, სულ უფრო ფართოდ ჩავაბათ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები წარმოების მართვაში.

ჩვენ გარდავქმენით მრეწველობის მართვა, გავაუქმეთ სამრეწველო სამინისტროები, რომლებმაც გარკვეულ ეტაპზე დადებითი როლი შეასრულეს, და თავი მოვუყარეთ საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობას ეკონომიურ რაიონებში, შევქმენით რა იქ სახალხო მეურნეობის საბჭოები. ცენტრალიზებული დაგეგმვის შეხამება ხელმძღვანელობის დემოკრატიულ მეთოდებთან მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა საუკეთესოდ გამოყენების საშუალებაა. გამოჩნდნენ დოგმატიკოსები და კონსერვატორები, რომლებიც მაშინ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ ღონისძიებათა განხორციელებას, აშინებდნენ პარტიასა და მთავრობას, ამბობდნენ: რას სჩადიხართ, განა შეიძლება სამინისტროების გაუქმება?

დრომ დაგვანახვა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით მართალი იყო, იგი შემოქმედებითად მიუდგა მრეწველობის მართვის ძირეული საკითხების გადაჭრას. და ეს ახლა თავის შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც თებერვალში გაიმართა, დაგვანახვა, რამდენად სასარგებლო და დროული იყო მრეწველობის მართვის გარდაქმნა. თუმცა მართვის ახალი სისტემა პირველ თვეებში თავისი ჩამოყალიბების პერიოდს განიცდიდა, და ეს, იჭვი არ არის, გავლენას ახდენდა საქმეზე, საწარმოთა ხელმძღვანელობა მაინც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, კიდევ უფრო გაიზარდა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახლა უფრო კონკრეტულად მუშაობენ სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე. ამის შედეგად მრეწველობა მუშაობს უფრო მაღალ დონეზე, უფრო სრულად იყენებს თავის რეზერვებს.

უეჭველია, რომ მომავალში მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის დადებითი მხარეები კიდევ უფრო სრულად გამოჩნდება, და ეს გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოების ახალ ზრდას. ჩვენ დავაჩქარებთ იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრას, რომ უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელ პერიოდში ახალი დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სწრაფი ტემპებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია — მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ ორ წელიწადში მოქმედთა მწყობრში ჩადგა 1.600-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 22 პროცენტით, ხოლო მძიმე ინდუსტრიის პროდუქციისა თითქმის 24 პროცენტით. მრეწველობა წარმატებით ასრულებს 1958 წლის გეგმასაც. ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა პირველი ორი თვის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 11 პროცენტით გადიდდა. მრავალმა ათასმა საწარმომ ვადამდე, უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის დღისათვის შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა.

ჩვენი პარტიის ძალა ის არის, რომ, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ისტორიულ ეტაპზე უნარი აქვს გამონახოს ის მთავარი რგოლი, რომლის ხელის ჩაჭიდებით შეიძლება წარმატებით გადაჭრას კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

ეკონომიური მშენებლობის დარგში სსრ კავშირის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრეწველობის მართვის გარდაქმნის შემდეგ პირველ პლანზეა წამოწეული, როგორც უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი სახალხო-სამეურნეო ამოცანა, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. ამ ამოცანას მტკიცედ აყენებს საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკა, იმის საჭიროება, რომ უფრო მეტი გასაქანი მიეცეს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას, შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

მრეწველობის მართვის გარდაქმნას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური ღონისძიება. ასეთივე რევოლუციური ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობის დარგში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დასახული რეორგანიზაციაც.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის გეგმასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კოოპერაციულ გეგმას. ამ გეგმაში ნაჩვენებია სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელი გლეხების მრავალმილიონიანი მასების ჩაბმის გზა, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის გზა.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური კოოპერაციული გეგმით, კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა და მოაწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელმაც გამოიწვია საკოლმეურნეო წყობილების შექმნა, სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი, სოციალისტური წესის დამკვიდრება. სოფლად სოციალიზმის გამარჯვებამ ცხადყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის დიდი სასიცოცხლო ძალა, კიდევ უფრო განამტკიცა ეს ურღვევი კავშირი.

საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და განმტკიცება წარმოადგენს ლენინური კოოპერაციული გეგმის, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებას. ეს გამარჯვება პარტიამ მოიპოვა კლასობრივი მტრების, იმ მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და მემარცხენე გადამხრელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გზიდან. კოლექტივიზაციის დამთავრების შედეგად მილიონობით დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის ადგილზე საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არის დაახლოებით 78 ათასი კოლმეურნეობა, 8 ათასი მტს-ი და 5.800 საბჭოთა მეურნეობა.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა სოფლის მეურნეობაში და თანამედროვე ტექნიკით მისმა აღჭურვამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია რამდენჯერმე გაიზარდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით. ძირეული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობაში. ამჟამად კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ დაახლოებით 1 მილიონ 700 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით), დიდძალი სხვა მანქანები. მრავალი ათეული მილიონი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობი, განსაკუთრებით ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობა. რევოლუციამდელ რუსეთში მშრომელ გლეხთა შემოსავალთან შედარებით კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შესადარ ფასებში ოთხჯერ გადიდდა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ უფასო სწავლებასა და მკურნალობას, დახმარებასა და სხვა შემწეობასა და შეღავათს სახელმწიფოს ხარჯზე, — ექვსჯერ.

საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში ერთსულოვნად აღინიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებანი ჩვენმა სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ წლებში მოიპოვა. ყოველდღიურ ზრუნვას იჩენს რა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე და შემდგომ პლენუმებზე გამოააშკარავა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების თავმინებებულობა. პარტია ვერ შეურიგდებოდა საქმის ასეთ ვითარებას, მას საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია მძლავრ მრეწველობასთან ერთად გვქონდეს ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეეძლება ისეთი რაოდენობით აწარმოოს სურსათი და ნედლეული, რაც საჭიროა მოსახლეობის სრული უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

აწყობს რა საყოველთაო-სახალხო ბრძოლას სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის საპროგრამო დებულებებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი მნიშვნელობის, სურსათის სიუხვის შექმნის შესახებ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კომუნიზმზე გადასვლა. პარტიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა ცხოვრებასმოწყვეტილ კონსერვატორებს და დოგმატიკოსებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის ლენინურ ხაზს, ეწინააღმდეგებოდნენ ისეთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას, როგორიც არის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება.

ჩვენმა პარტიამ, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და სკკპ XX ყრილობაზე შეიმუშავა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ვრცელი პროგრამა, განახორციელა მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის შესასრულებლად.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალიფიციურ სპეციალისტთა, ორგანიზატორთა და მუშა-მექანიზატორთა კადრებით განსამტკიცებლად, საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად, კოლმეურნეობებში დემოკრატიული მართვის საფუძვლების შემდგომი განვითარების მისაღწევად.

პარტიამ განახორციელა ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო აამაღლოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობას გაეგზავნა 908 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით) და მილიონობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სოფლის მეურნეობას დიდი დახმარება გაეწია კვალიფიციური კადრებით. თუ 1953 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 83 ათასი სპეციალისტი, 1957 წლის 1 დეკემბრისათვის ასეთი სპეციალისტი უკვე 277 ათასი იყო.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობაში საწარმოო შენობათა, ნაგებობათა მშენებლობას, ტრაქტორების, მანქანებისა და მოწყობილობის ანაზღაურებას საბჭოთა სახელმწიფომ მოახმარა 75 მილიარდ 400 მილიონი მანეთი, ანუ 10 მილიარდი მანეთით მეტი იმ კაპიტალდაბანდებებზე, რომლებიც ამ მიზნებს მოხმარდა მეორე, მესამე, მეოთხე ხუთწლედებსა და მეხუთე ხუთწლედის სამ წელიწადში ერთად, შესადარ ფასებში.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა. 1958 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობები სავსებით განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან. სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღებამ და კოლმეურნეობებისათვის იმის უფლების მინიჭებამ, რომ ცვლილებები შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, განავითარა კოლმეურნეთა ინიციატივა არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების საქმეში.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებაში მოპოვებულ წარმატებებს, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, ნათლად მოწმობენ ასეთი მონაცემები. მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ ოთხ წელიწადში 27 პროცენტით გადიდდა წინა ოთხ წელიწადთან შედარებით. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გადიდდა კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, ნედლი ბამბის საერთო მოსავალი. გაიზარდა პირუტყვის სულადობა, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგალითად, ხორცის წარმოება ჯოგის მატების გათვალისწინებით უკანასკნელ ოთხ წელიწადში გადიდდა 38 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — თითქმის 80 პროცენტით, რძის წარმოება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 50 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — ერთიორად და მეტად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დავალება კოლმეურნეობებში ძროხის წველადობის გადიდებისა და რძის დამზადების გადიდების შესახებ შესრულდა ვადამდე, სამ წელიწადში ნაცვლად ექვსი წლისა.

პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენმა სოფლის მეურნეობამ დაძლია ზოგიერთი დარგის ჩამორჩენა და წარსული თავმინებებულობა და ახლა მკვეთრი აღმავლობის გზაზეა. ამასთანავე მიღწეული წარმატებანი არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ამოცანებს და მხედველობაში მივიღებთ მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის უდიდეს პერსპექტივებს, საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების საჭიროებას.

მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდების დავალებები იმ ოდენობით რომ შევასრულოთ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ არის დადგენილი, და მეცხოველეობის პროდუქციისა იმ ოდენობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გადავჭრათ ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, საჭიროა უზრუნველვყოთ მიწათმოქმედების კულტურის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უკეთ გამოყენება, ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობა, პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენი კოლმეურნეობები, რომლებიც იძლევიან საერთო და სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს, აქედან მარცვლეულის სახელმწიფო დამზადების 70 პროცენტზე მეტს, ხორცისა და რძის დამზადების ორ მესამედს. კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებაზე, მათი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაზე დამოკიდებულია წარმოების ზრდა სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობების გამსხვილება, რაც უკანასკნელ წლებში განხორციელდა, მათი ეკონომიკის სწრაფი ზრდა, კოლმეურნეობათა, როგორც მსხვილ მრავალდარგოვან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარება მოითხოვს შეიცვალოს მათი საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული წესი.

სწორედ ამიტომ საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში მხურვალედ დაუჭირეს მხარი და ერთსულოვნად მოიწონეს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა.

II

მტს-ების როლი საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში

ამხანაგო დეპუტატებო! მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებები კანონზომიერი შედეგია ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა. ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის ბრძნული და შორსმჭვრეტელური მითითებებით, პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ქმნიდა პირობებს, რომლებიც საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩვენი მრავალმილიონიანი გლეხობა მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირით და მისი ხელმძღვანელობით გამხდარიყო სოციალიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე. ამ დიადი ამოცანის პრაქტიკული განხორციელების გზაზე ცოტა სიძნელე როდი გვხვდებოდა, რომელთა დაძლევა პარტიისა და ხალხის ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვდა.

ლენინური კოოპერაციული გეგმის სრული გამარჯვებისათვის საჭირო იყო, რომ კოლმეურნეობებს დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა არა მარტო წვრილ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1958 წლის 27 მარტს

(გაგრძელება)

საქონლური გლეხური მეურნეობის წინაშე, არამედ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების წინაშეც. ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭირო იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე შეუძლია მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას ნამდვილად განავითაროს მიწათმოქმედების საწარმოო ძალები, უზრუნველყოს პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობის წარმოება და ამით ცხადყოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა და პროგრესულობა სოფლის მეურნეობის ყოველგვარ სხვა, არა სოციალისტურ სისტემასთან შედარებით.

ფართოდ ცნობილია ლენინის მითითებანი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნიკას წვრილგლეხური სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის. გააკეთა რა პარტიის VIII ყრილობაზე მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, მან თქვა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათი მომარაგება ბენზინით, მათი მომარაგება მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიის მომხრე ვარ“ (ე. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო)“. ბევრ თქვენგანს ახსოვს, რომ პირველივე ტრაქტორები და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფომ საზღვარგარეთ იყიდა, ლენინის წინადადებით სასოფლო-სამეურნეო კომუნებში, კოლმეურნეობებში იგზავნებოდა.

იმ დროს ჩვენს სახელმწიფოს არ შეეძლო სოფლისათვის ასი ათასი ტრაქტორის მიცემა, რადგან ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა საკმაოდ განვითარებული ინდუსტრია, მაშინ ჩვენ საერთოდ არ გვქონდა ტრაქტორების წარმოება. ახორციელებდა რა პარტიის მიერ აღებულ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გენერალურ ხაზს, საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით აშენებდა მძლავრ მრეწველობას, ავითარებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას და ამით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების განმტკიცებასთან ერთად ქმნიდა პირობებს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის, მისი საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

მოწინავე ტექნიკით სოფლის მეურნეობის მომარაგება, რაც წლითიწლობით იზრდებოდა, აძლიერებდა სოციალისტური ქალაქის საწარმოო კავშირს სოფელთან, უდიდეს გამარევოლუციონერებელ ზემოქმედებას ახდენდა გლეხობაზე. მილიონობით მშრომელ გლეხს შესაძლებლობა მიეცა თვალნათლივ დაენახა უპირატესობა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედებისა, რომელიც მას საშუალებას აძლევდა განთავისუფლებულიყო კულაკური კაბალისაგან და გამოეყენებინა რთული ტექნიკა, რომელიც აადვილებს სასოფლო-სამეურნეო შრომას და ზრდის მის ნაყოფიერებას.

1927 წელს, როცა დაისახა ჩვენი მრეწველობის შესაძლებლობა სულ უფრო მზარდი მასშტაბით მოემარაგებინა სოფლის მეურნეობა რთული ტექნიკით, დღის წესრიგში დადგა სოფლის მეურნეობის მასობრივი კოლექტივიზაციის კურსის განხორციელების საკითხი. საერთაშორისო და საშინაო ვითარება გვიკარნახებდა, რომ საჭირო იყო ეს საკითხი უმოკლეს ვადაში გადაგვეწყვიტა.

კოლმეურნეობები შეიძლებოდა გაზრდილიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ მხოლოდ მანქანური ტექნიკის ბაზაზე, მეცნიერების მიღწევების დანერგვის საფუძველზე.

აქედან წარმოიშვა იმის საჭიროება, რომ გამოგვენახა კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების შესაბამისი ფორმა, შეგვექმნა ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ყოველდღიურ და შესაძლო ფართო დახმარებას გაუწევდა მეურნეობის ახალ, სოციალისტურ ფორმას — კოლმეურნეობებს. სწორედ ასეთი სახელმწიფო ბერკეტი გახდა სოფლად მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

პირველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებამ გლეხები დაარწმუნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობაში. აი სწორედ მაშინ შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

გავიხსენოთ, თუ როგორ წარმოიშვა ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის შევჩენკოს სახელო-

ქვეყანაში. ამ რაიონის ყამირ მიწებზე ჩავიდა ახალმოსახლეთა ჯგუფი. თვითეულმა მოსახლემ მიიღო კარგი მიწის ნაკვეთი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ შრომის ძველი იარაღით ამ მიწის დამუშავება მეტად ძნელი იყო. მაშინ, 1927 წელს, ახალმოსახლეებმა მიმართეს საბჭოთა მეურნეობას, რათა იგი დახმარებოდა მათ ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით. საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ახალმოსახლეთა დასახმარებლად გამოჰყვეს რაზმი ათი ტრაქტორის შემადგენლობით, განუმარტეს გლეხებს, რომ რაზმს შეუძლია მათი მიწა დაამუშაოს მხოლოდ იმ პირობით, თუ დაქსაქსული მიწის ნაკვეთები ერთიან მასივად გაერთიანდება. გლეხები ამაზე დათანხმდნენ, მოსპეს მიჯნები და გაერთიანდნენ კოოპერატივად.

1928 წლის გაზაფხულზე შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობას უკვე ჰყავდა 14 ასეთი რაზმი, რომლებიც ამუშავებდნენ 18 ათას ჰექტარ მიწას. სწორედ მაშინ გადაწყდა სატრაქტორო კოლონის ბაზაზე შეექმნათ პირველი მტს-ი, რომელსაც დაერქვა „სასოფელთაშორისო მანქანა-ტრაქტორთა სადგური“. მისი დირექტორი იყო აგრონომი — კომუნისტი ანისიმ მირონის-ძე მარკევიჩი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზაციული ფორმების შესამუშავებლად.

პარტიამ მხარი დაუჭირა ამ შესანიშნავ თაოსნობას. პირველი მტს-ის მაგალითისამებრ წარმოიშვა ასობით და ათასობით სხვები. მტს-ების ზრდის კვალობაზე იქმნებოდნენ, მტკიცდებოდნენ, ძალას იკრებდნენ კოლმეურნეობები.

ცალკეული ამხანაგები გვეკითხებიან: განა არ შეიძლებოდა იოლად წავსულიყავით ისე, რომ მტს-ები არ შეგვექმნა? განა არ შეიძლებოდა მასობრივი კოლექტივიზაციის უკვე დაწყებითს პერიოდში მიგვეყიდა ტრაქტორები უშუალოდ კოლმეურნეობებისათვის? საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როგორც ცნობილია, ტრაქტორები ეძლეოდათ უშუალოდ კოლექტიურ მეურნეობებს. მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პირობებში კი ეს არ შეიძლებოდა. რატომ? იმიტომ, რომ მრეწველობას ჯერ კიდევ არა ჰქონდა შესაძლებლობა ტრაქტორებით უზრუნველეყო ახალგაზრდა კოლმეურნეობები, რომლებიც ყოველდღე ათასობით იბადებოდა; კოლმეურნეობათა უმეტესობას მაშინ არ ჰქონდა სახსრები, რომ ტრაქტორები შეეძინა; მათ არა ჰყავდათ კადრები, რომლებსაც შეეძლოთ ტრაქტორების მართვა.

მაგრამ საქმე საკითხის მარტო საწარმოო - ეკონომიური მხარე როდია. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ მხარესაც. როცა კოლმეურნეობებში შესვლა დაიწყო მილიონობითა და მილიონობით გლეხმა, რომლებმაც შეიგნეს სოციალისტური მაღალმექანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატესობა, მაგრამ რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყვნენ წვრილმესაკუთრული ჩვევებისაგან, საჭირო იყო გაძლიერებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი როლი სოციალიზმის გზით ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სახელმწიფოს ხელში იყო კოლექტივიზმის სულისკვეთებით, საერთო-სახალხო ინტერესების სულისკვეთებით მშრომელი გლეხობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალება. მანქანა - ტრაქტორთა სადგურების დიდი ისტორიული მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ მათ დახმარება გაგვიწიეს განგვემტკიცებინა მუშათა და გლეხთა კავშირი სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. მტს-ების მუშაკებმა გლეხები აზიარეს მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას, ინდუსტრიულ ტექნიკას, შრომის სოციალისტურ დისციპლინას, ახალი კულტურა შეიტანეს სოფელში. საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრების წლებში პოლიტიკურმა განყოფილებებმა, რომლებიც მტს-ებთან შეიქმნა, დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, განადგურებული კულაკობის მტრული მაქინაციების წინააღმდეგ ბრძოლაში. მტს-ების მშენებლობა მოასწავებდა უდიდეს ტექნიკურ რევოლუციას სოფლის მეურნეობაში და ხელს უწყობდა სოფლად კულტურული რევოლუციის შემდგომ განვითარებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეოხებით ჩვენს სოფელში შეიქმნა ინდუსტრიული შრომის მაღალკვალიფიციურ მუშაკთა — ტრაქტორისტთა, კომბაინერთა,

მრავალრიცხოვანი არმია. ამჟამად მტს-ებში ორ მილიონზე მეტი მუდმივი მუშაკი ითვლება. მრავალმა მილიონმა კოლმეურნემ სწავლა მიიღო მექანიზაციის სკოლებში და მტს-ებთან შექმნილ სხვადასხვა კურსებზე. ეს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები წარმოადგენენ ჩვენი ახლანდელი სოფლის საუკეთესო ნაწილს.

ამ უკანასკნელ წლებში, როცა პარტიამ შეიმუშავა და დაიწყო სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელება, მანქანა - ტრაქტორთა სადგურები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმებისა და პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მტს-ებში გაიგზავნა ასეულათასობით და მილიონობით ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა. შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კადრები, განმტკიცდა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემადგენლობა. უამისოდ ჩვენ ვერ მოვიპოვებდით იმ წარმატებებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომლებზეც ახლა მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. საბჭოთა კავშირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გამოცდილებას წარმატებით იყენებენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმის ერთგული ჩვენი პარტია, ჩვენი სახელმწიფო მტს-ებს ქმნიდნენ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ მშრომელ გლეხობას დასდგომოდა საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გზას და მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ამ გზაზე. პარტიის მეცადინეობით, ხალხის მეცადინეობით ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. მტს-ების მეოხებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეობები არა მარტო დამკვიდრდნენ, არამედ მათი უმრავლესობა გახდა მსხვილი, ეკონომიურად ძლიერი სოციალისტური საწარმოები, რომლებიც დიდ შემოსავალს იღებენ და ამჟამად მრავალრიცხოვანი კადრები ჰყავთ. სწორედ ამიტომ საბჭოთა ხალხი ჯეროვნად აფასებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებასა და განმტკიცებაში, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ესოდენ დიდი როლი შეასრულეს, მაშ რატომ დაისახა მათი რეორგანიზაციის ამოცანა? ქმნიდა რა მტს-ებს, ჩვენს პარტიას არასოდეს არ დაუდვია ფიცი, რომ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ამ ფორმის მუდამ ერთგული იქნებოდა, მას არასოდეს არ მიაჩნდა მტს-ების მშენებლობა თვითმიზნად.

ჩვენ სერიოზულ შეცდომას დავუშვებთ, თუ, მიუხედავად ახალი ვითარებისა, ჩავებღაუჭებით ძველ, უკვე დრომოჭმულ ფორმებს. ეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მარქსიზმ- ლენინიზმი გვასწავლის, რომ ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონეს, რომ ამ ურთიერთობის ფორმები უნდა იცვლებოდეს საწარმოო ძალების მდგომარეობის მიხედვით. ამა თუ იმ ფორმის სამუდამოდ დამკვიდრების ყოველგვარი ცდა ადრე თუ გვიან დაიწყებს საწარმოო ძალების განვითარების შეფერხებას.

ახლა დადგა დრო, როცა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ურთიერთობაში შეიქმნა შესაძლებლობა გაუქმდეს ისეთი შუამავალი რგოლი, როგორსაც წარმოადგენენ მტს-ები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვიმყოფებით საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალ ეტაპზე.

III

ახალი ეტაპი საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საჭიროება

ამხანაგო დეპუტატებო! პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნის მომენტიდან 30 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე კოლმეურნეობებმა განვითარების დიდი გზა განვლეს. ისინი გაიზარდნენ, განმტკიცდა მათი საზოგადოებრივი მეურნეობა, უფრო რთული გახდა საკოლმეურნეო წარმოება.

დარჩა თუ არა ამ პირობებში ფუნქციები, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ასრულებდნენ? შეესაბამება თუ არა მტს-ების საშუალებით კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების შექმნილი ფორმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს და კოლმეურნეობათა მოთხოვნებს?

განვიხილოთ ეს საკითხები.

დაწყებითს პერიოდში მეტი წილი კოლმეურნეობები წვრილი, ეკონომიურად სუსტი მეურნეობები იყვნენ. წვრილ კოლმეურნეობათა ხანგრძლივი არსებობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ისინი ვერ იძლევიან შესაძლებლობას ყოველმხრივ განვითარდეს საზოგადოებრივი წარმოება და სრულად იქნას გამოყენებული მოწინავე ტექნიკა, რომლითაც სახელმწიფო განუწყვეტლივ აიარაღებს სოფლის მეურნეობას.

კოლმეურნეობათა გამსხვილება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში. ეს ღონისძიება იძლეოდა ხელსაყრელ შესაძლებლობას, რათა უფრო რაციონალურად გამოგვეყენებინა ტექნიკა, მუშახელის რესურსები და აგვემაღლებინა საკოლმეურნეო ეკონომიკა. მაგრამ იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებანი იყო, მარტო ეს ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა ძირეულ გარდატეხას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში.

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლით, რაც გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, აღინიშნა საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. ამ ეტაპს ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები.

ჯერ-ერთი, ამჟამად მეტი წილი კოლმეურნეობები გახდნენ მსხვილი და ეკონომიურად ძლიერი მეურნეობანი, რომლებიც წარმოებაში ფართოდ იყენებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას.

მეორე, თანამედროვე გამსხვილებული კოლმეურნეობები ტექნიკურად გაცილებით უკეთ არიან აღჭურვილნი, ვიდრე წინათ.

მესამე, კოლმეურნეობებში ახლა გაიზარდა კვალიფიციურ მემინდვრეთა, მეცხოველეთა, მექანიზატორ-ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მემანქანეთა, ელექტრიკოსთა, შოფერთა, მშენებლობის

ორგანიზატორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა და მეცნიერების მიღწევები.

მეოთხე, იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც პარტიამ განახორციელა საკოლმეურნეო ეკონომიკის აღმავლობისათვის, მკვეთრად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი და გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს სამართლიანად აღინიშნა, რომ ახლანდელი კოლმეურნეობები, რომლებსაც მილიონიანი შემოსავალი, დიდი განუყოფელი და საწარმოო ფონდები აქვთ, მრავალრიცხოვანი კადრები ჰყავთ, ოდნავაც არ შეიძლება შევადაროთ ეკონომიურად სუსტ და მეტწილად წვრილ კოლმეურნეობებს, რომლებიც მათი განვითარების დაწყებითს პერიოდში იყო. ახლა, როცა კოლმეურნეობებს შეუძლიათ განახორციელონ დიდი კაპიტალდაბანდებანი თავიანთ წარმოებაში, შეიძინონ რთული ტექნიკა, უზრუნველყონ მისი სწორი გამოყენება, მომწიფდა კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმებში ძირეულ ცვლილებათა შეტანის საკითხი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უკვე შეასრულეს ის როლი, რომელიც მათ წინათ ეკისრებოდათ, და საჭიროა მათი ძირეული რეორგანიზაცია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა უდიდეს ნაწილს ასრულებენ. ასეთი მდგომარეობის დროს სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ძალა — კოლმეურნეობათა მუშახელი — თითქოს ჩამოშორებულია წარმოების მთავარ იარაღებს, ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს, რაც ხელს უშლის მუშახელისა და ტექნიკის ყველაზე ეფექტიანად გამოყენებას. რამდენადაც რთული ტექნიკა მტს-ების ხელშია, კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ უშუალოდ განაგებდნენ მას, იყენებდნენ საკოლმეურნეო წარმოების მთელი რეზერვების ყველაზე სრული გამოყენების ინტერესებისათვის.

ამჟამად კოლმეურნეობებს თვითონ შეუძლიათ ეფექტიანად გამოიყენონ რთული ტექნიკა. თუ წინათ მტს-ების ძალებითა და სახსრებით ხორციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია, უმთავრესად მემინდვრეობაში, ახლა ბევრი კოლმეურნეობა თვითონ ასრულებს დიდ სამუშაოს თავისი საზოგადოებრივი წარმოების მექანიზაციისათვის, მათ აქვთ თავიანთი პატარა ტრაქტორები, ავტომანქანები, ელექტროსადგურები, ელექტრომოტორები და სხვა მოწყობილობა.

მაშ რატომღა უნდა შევინარჩუნოთ კვლავ მტს-ები მათი ახლანდელი სახით? რაკი ეს ფორმა გარკვეულ ეტაპზე იწყებს წარმოების განვითარების შეფერხებას, იგი ან უნდა გავაუმჯობესოთ,

ლოა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

სოფლად განმტკიცდნენ და დიდი ძალა გახდნენ პარტიული ორგანიზაციები. გაიზარდა პარტიის სასოფლო რაიკომების როლი, ისინი უფრო ღრმად სწავლობენ ეკონომიკას, საქმის ცოდნით იწევიან ორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეობებში. მაშასადამე, თანამედროვე პირობებში მტს-ების ფუნქცია როგორც წარმოების ორგანიზატორებისა უქმდება.

გარკვეულ ეტაპზე, როცა ჩვენში იყვნენ პატარა კოლმეურნეობანი მიწის მცირე ნაკვეთებით, როცა ასეთ კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ ნაყოფიერად გამოეყენებინათ ახალი ტექნიკა, მტს-ებში მანქანების თავმოყრა გამართლებული, აუცილებელი იყო. მტს-ები გამოდიოდნენ სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნიკის დანერგვის ორგანიზატორებად.

მაგრამ ახლა კოლმეურნეობანი გამსხვილდნენ, თვითეულს რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა აქვს. კოლმეურნეობათა კადრები თვითონ არიან აქტიური მებრძოლნი ტექნიკური პროგრესისათვის. ისინი უშუალოდ არიან დაინტერესებულნი წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვით. ამ პირობებში კოლმეურნეობებს შეუძლიათ უკეთ გამოიყენონ ტექნიკა, ვიდრე მას მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იყენებენ. მაშასადამე, მტს-ების ეს ფუნქციაც უქმდება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს ახლა აღარ სჭირდებათ დაარწმუნონ ვინმე მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში, რადგან საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია გაიმარჯვა, ხოლო კოლმეურნეს ვერ წარმოუდგენია იცხოვროს, თუ კოლმეურნეობაში არ იქნა. ამრიგად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ეს ფუნქციაც ზედმეტი გახდა.

მტს-ები წარსულში პურის დამზადების დიდმნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ. ახლა, როცა კოლმეურნეობათა მარცვლეული და ზოგიერთი სხვა პროდუქტები, რომლებიც ნატურანაზღაურების წესით შემოდის, საბჭოთა მეურნეობების პროდუქტებზე ძვირი ჯდება, მტს-ები აღარ წარმოადგენენ ასეთ წყაროს.

ასეთია ფაქტები. ისინი გვიჩვენებენ, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობის მსვლელობაში, კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ძირეულად შეიცვალა საწარმოო პირობები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ამოწურეს ფუნქციები, რომლებსაც ისინი წინათ ასრულებდნენ. მაშასადამე, კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებაში ახალი ვითარება შეიქმნა.

წარმოების განვითარების ახლანდელ დონეზე წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა კოლმეურნეობათა მექანიზაციის ნამდვილ მოთხოვნილებებსა და მტს-ების მეშვეობით მათი საწარმოო-ტექ-

რით გამოიხატება ეს შეუსაბამობა?

პარტიას ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა შრომის მინიმალური დახარჯვით. საშინაო პოლიტიკის ძირეული პრობლემაა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამ და მხოლოდ ამ გზით უნდა ვეძიოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრა.

ლენინი შრომის ნაყოფიერებას უწოდებდა ყველაზე დიდმნიშვნელოვანს, ყველაზე მთავარს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ კაპიტალიზმზე და გავიმარჯვებთ მასზე შრომის უფრო დიდი ნაყოფიერებით და ხალხის ცხოვრების უფრო მაღალი დონით.

თუ ამ პოზიციებიდან, ესე იგი შრომის ნაყოფიერების გადიდების პოზიციებიდან, შევაფასებთ მტს-ების როლს თანამედროვე პირობებში, უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურება მტს-ების მხრივ ჩამორჩება წაყენებულ მოთხოვნებს.

რით იჩენს თავს ეს კონკრეტულად? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ერთ მიწაზე არის ორი პატრონი — კოლმეურნეობა და მტს-ი. ეს წარმოშობს გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას, ქმნის არანორმალურ პირობებს ტექნიკის გამოყენებისათვის. კოლმეურნეობა და მტს-ი იძულებული არიან შეინახონ მართვის ორი აპარატი ერთი და იმავე ამოცანების შესასრულებლად. ხოლო ჩვენში ხომ არიან ისეთი მტს-ები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სულ ერთ-ორ ან სამ კოლმეურნეობას. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ზრდის ასეთი აპარატი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ერთ მიწაზე ორი პატრონის არსებობა იწვევს ტექნიკისა და მიწის გამოყენების გაუარესებას. ახლა, როცა დაგეგმვის ახალი წესი დამყარდა, კოლმეურნეები იჩენენ დიდ შემოქმედებითს ინიციატივას, ისწრაფვიან მოიყვანონ ეკონომიურად ყველაზე ხელსაყრელი კულტურები. ხოლო რაც მთავარია — ისწრაფვიან გაადიდონ მოსავლიანობა, დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

ამისათვის ოპერატიულად უნდა წყდებოდეს მანქანების განაწილების საკითხები. როცა ერთ მინდორს ორი პატრონი ჰყავს, ძალიან ბევრი რამ არის შესათანხმებელი ანუ, როგორც ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს, „მოსაგვარებელი“. ხოლო ამ „შეთანხმებასა“ და „მოგვარებაში“ დრო გადის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჭიანურდება, რაც ზიანს აყენებს წარმოებას. მტს-ის მუშაობის ძირითადი მაჩვენებელი იყო გეგმის შესრულება ჰექტარობით რბილ ხვნაზე გადაყვანით. ეს ხშირად იმას იწვევდა, რომ მტს-ის მუშაკები იმისათვის, რომ მეტი ჰექტარი ჰქონოდათ რბილ ხვნაზე გადაყვანით, აწარმოებდნენ არასაჭირო სამუშაოებს, რომლებიც მოსავლიანობის გადიდების ინტერესებით არ იყო გამოწვეული. მაგალითად, სრულდებოდა იმ ანეულის კულტივაცია ან ხელახლა ხვნა, რომელსაც ეს არ ესაჭიროებოდა. ამრიგად, შრომა და მატერიალური სახსრები ხშირად იხარჯებოდა არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, არამედ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის ფორმალური შესრულებისათვის.

როცა ტექნიკა ცოტა გვქონდა, დავადექით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მისი ცენტრალიზებული განაწილების გზას. მაგრამ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად ტრაქტორებისა და სხვა მანქანების განაწილების არსებულმა სისტემამ დრო მოჭამა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იღებენ ყველაფერს, რასაც მათ აძლევენ, იმას როდი დაგიდევენ, ესაჭიროება თუ არა მოცემული რაიონის კოლმეურნეობებს ესა თუ ის მანქანები. ამის შედეგად მტს-ებში იგზავნება ბევრი მანქანა, რომელიც იქ საჭირო არ არის. ახლა კი, როცა კოლმეურნეობები თვითონ იყიდიან ტექნიკას, ამ უყაირათობას ბოლო მოეღება.

როცა დადგა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხი, ზოგიერთი ეკონომი-

რომ ტრაქტორები კოლმეურნეობებისათვის მიეყიდათ, მაშ ჩვენ მართალი ვყოფილვართო.

ეს საკითხი უნდა განვიხილოთ. შესაძლოა, ეს ამხანაგები მართალი იყვნენ, ხოლო ცენტრალურმა კომიტეტმა შეცდომა დაუშვა, მათი წინადადება რომ უარყო? არა, საქმე სხვანაირად არის.

ვთქვათ, მიგვეღო ამ ეკონომისტების წინადადება კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვისა და არსებითად მტს-ების ლიკვიდაციის შესახებ. რა მოჰყვებოდა ამას? კოლმეურნეობები, რადგან ეკონომიურად სუსტი იყვნენ, ვერ შეიძენდნენ და სწორად ვერ გამოიყენებდნენ ტექნიკას. ჩვენ ძირს გამოვუთხრიდით ჩვენს სოფლის მეურნეობას. აი ამიტომ უარყო პარტიამ ასეთი წინადადებანი, როგორც მცდარი წინადადებანი.

მართლაც, აი რას წარმოადგენდა ბევრი კოლმეურნეობა, სანამ მოხდებოდა მათი გამსხვილება და განხორციელდებოდა უკანასკნელი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის:

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში საშუალოდ თითო კოლმეურნეობაზე 1949 წელს მოდიოდა 308 ჰექტარი ხნული, ფულადი შემოსავალი შეადგენდა 36 ათას მანეთს.

კიროვის ოლქში — 291 ჰექტარი ხნული, ფულადი შემოსავალი — 29 ათასი მანეთი.

მოსკოვის ოლქში — 188 ჰექტარი ხნული, ფულადი შემოსავალი — 93 ათასი მანეთი.

ხოლო მოსკოვის ოლქში იყო ისეთი კოლმეურნეობებიც, როგორიც არის, მაგალითად, ვერეიის რაიონის „კრასნი პახარი“. 1949 წელს მას ჰქონდა 71 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, ჰყავდა ექვსი კომლი, 7 შრომისუნარიანი კაცი. კოლმეურნეობაში იყო სამი ძროხა და ორი ღორი. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წელიწადში 7 ათას მანეთს შეადგენდა.

ვოლოკოლამსკის რაიონის სოფელ ლამინოს კოლმეურნეობას 1949 წელს ჰქონდა 111 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა; ჰყავდა 10 კომლი, სულ 21 შრომისუნარიანი კაცი, ხოლო კოლმეურნეობაში მუდმივად მუშაობდა 6 დედაბერი. კოლმეურნეობას ჰყავდა 25 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 5 ძროხა, აგრეთვე 11 ღორი და 19 ცხვარი. ამ კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1949 წელს 27 ათასი მანეთი შეადგინა. ეს ძალიან წვრილი და სუსტი კოლმეურნეობა იყო, სახელი კი რიხიანი ერქვა — „პასუხი ინტერვენტებს“.

ისმება კითხვა: განა შეიძლებოდა ასეთი კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების მიყიდვა? განა შეეძლოთ მათ ეყიდათ ტრაქტორები, უზრუნველეყოთ მათი შეკეთება და სწორად გამოყენება?

ჩვენ რომ მაშინ კიდევაც გადაგვეწყვიტა ტრაქტორების უფასოდ გადაცემა კოლმეურნეობებისათვის, ისინი მაინც არ იყვნენ მზად მათ წასაღებად. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ასეთი მაგალითი. ერთხელ 1945 წელს ამხ. სტალინი შემეკითხა, თუ როგორ მიდიოდა საქმე ჩემს მშობლიურ სოფელ კალინოვკაში, როგორ ცხოვრობდა იქ ხალხი. მე ვუპასუხე, არც ისე კარგად ცხოვრობენ-მეთქი. მაშინ მან მირჩია წავსულიყავი კალინოვკაში და დავხმარებოდი კოლმეურნეებს, ჩემს თანასოფლელებს.

მოსკოვიდან კიევში დაბრუნებისას შევიარე კალინოვკაში და ასეთი სურათი ვნახე. მეურნეობა ოკუპაციის შემდეგ დანგრეული და თავმინებებული იყო. დისციპლინა სუსტი. კოლმეურნეობას ესაჭიროებოდა დახმარება. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა დემობილიზაცია, ჯარის ნაწილებს უთავისუფლდებოდათ ბევრი ქონება. მე დავურეკე სამხედროებს და ვკითხე, ხომ არ შეუძლიათ გამოუყონ კალინოვკას რამდენიმე ცხენი, ცალუღი, საბარგული, აგრეთვე რამდენიმე ტრაქტორი ამ რაიონის მტს-ისათვის. სამხედროები ხალისით დათანხმდნენ დახმარებოდნენ კოლმეურნეობას და უსასყიდლოდ გაუგზავნეს სოფელს ცხენები, ცალუღები და სხვა. გგონიათ, კოლმეურნეებს გაეხარდათ? არა. მათ შეხედეს ცხენებს და თქვეს: ცხენებს ხომ მოვლა და კვება უნდა! საჭირო გახდა ცხენების დარიგება რაიონის კოლმეურნეობებისათვის.

რატომ ამბობდნენ კოლმეურნეები უარს? განა მათ არა სურდათ კარგად ეცხოვრათ? იმიტომ, რომ მათს შრომას კოლმეურნეობაში ცუდად ანაზღაურებდნენ

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1958 წლის 27 მარტს

(გაგრძელება)

კოლმეურნეები იმ პირობებში ვერ ხედავდნენ შესაძლებლობას სწრაფად გაეუმჯობესებინათ საზოგადოებრივი მეურნეობა და თავიანთი კეთილდღეობა.

და მართლაც, კოლმეურნეობა იმ წლებში მეტად ნელა ვითარდებოდა: აი ზოგიერთი ცნობა სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის შესახებ.

	1947 წელი	1952 წელი
მარცვლეული კულტურების მოსავალი — ცენტნერობით ჰექტარზე	9,2	10,1
მარცვლეულის საერთო წარმოება — ცენტნერობით	8.251	7.818
ნაწარმოებია 100 ჰექტარ მიწაზე:		
ხორცი — ცენტნერობით	1,8	7,5
რძე — ცენტნერობით	5,2	37
საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე — კილოგრამობით	770	1.075
მთელი ფულადი შემოსავალი — ათას მანეთობით	206	382
გადარიცხულია განუყოფელ ფონდში — ათას მანეთობით	41	76

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ხუთ წელიწადში — 1947 წლიდან 1952 წლამდე კოლმეურნეობა, მიუხედავად უფასო მატერიალური დახმარებისა, არ განვითარებულა და თითქმის არ წაწეულა წინ. მაშასადამე, საქმე იმ დროს ტექნიკის მიყიდვა და ჩუქებაც კი არ იყო, არამედ ის, რომ კოლმეურნეები მატერიალურად არ იყვნენ დაინტერესებულნი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით.

სხვა მდგომარეობაა ამჟამად. მიწა კოლმეურნეობაში იმდენივეა, ადამიანებიც იმდენივეა. ხოლო შეხედეთ, რა შედეგია მიღწეული ამავე კალინოვკაში უკანასკნელ წლებში. მე ვიღებ ცნობებს მეურნეობის განვითარების შესახებ 1953-დან 1957 წლამდე.

	1953 წელი	1957 წელი
მარცვლეული კულტურების მოსავალი — ცენტნერობით ჰექტარზე	7,4	38,7
მარცვლეულის საერთო წარმოება — ცენტნერობით	5.583	21.527
ჩადებულია სილოსი — ტონობით	120	5.200
100 ჰექტარ მიწაზე წარმოებულია:		
ხორცი — ცენტნერობით	8,5	102,6
რძე — ცენტნერობით	42	281
საშუალო წველადობა ძროხაზე — კილოგრამობით	1.164	3.936
მთელი ფულადი შემოსავალი — ათას მანეთობით	687	6.288
გადარიცხულია განუყოფელ ფონდში — ათას მანეთობით	137	2.201

კოლმეურნეები შრომადღეებზე ახლა მარტო ფულად იღებენ 8-10 მანეთს. ამასთან კოლმეურნეობამ განუყოფელ ფონდში გასულ წელს გადარიცხა თავისი ფულადი შემოსავლის 35 პროცენტი.

ამრიგად, თუ იმ პერიოდში კოლმეურნეობა აუნაზღაურებელი დახმარებითაც კი ვერ გაიმართა წელში, უკანასკნელ ოთხ წელიწადში, როცა პარტიამ ცნობილი გადაწყვეტილებანი მიიღო, იგი განსაკუთრებული დახმარების გაუწევლადაც კი განვითარდა, და ამასთან როგორ გასწია წინ. რით აიხსნება ეს? ჩვენი პარტიის სწორი პოლიტიკით, სტიმულებით. ამიტომ ადამიანებმა იწყეს კარგად მუშაობა, მეტი პროდუქტების წარმოება და თავიანთ შრომაში ღირსეული ანაზღაურების მიღება.

თუ მაშინ კოლმეურნეები უარს ამბობდნენ უფასოდაც კი მიეღოთ ცხენები, ამას წინათ მათ თავიანთ საერთო კრებაზე გადაწყვიტეს ერთ წელიწადში იყიდონ მტს-ში მთელი საჭირო ტექნიკა და ერთბაშად შეიტანონ ფული.

სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. ახლა, როგორც საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო, არის ათასობით კოლმეურნეობა რომლებსაც შეუძლიათ ნაღდ ანგარიშზე შეიძინონ საჭირო ტექნიკა და უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ იგი.

უდავოა, რომ კოლმეურნეობებისათვის იმ პერიოდში ტრაქტორების გადაცემას შეეძლო სერიოზულად დაესუსტებინა ჩვენი სოფლის მეურნეობა და დიდი სიძნელეები შეექმნა სოციალისტურ მშენებლობაში.

იმისათვის, რომ გადავსულიყავით ისეთ ეტაპზე, როცა კოლმეურნეობებს შეუძლიათ ტექნიკა იყიდონ და მისი ნამდვილი პატრონები გახდნენ, საჭირო იყო შეგვესრულებინა უდიდესი მუშაობა კოლმეურნეობებისა და მტს-ების განმტკიცებისათვის, მათი ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი საქონლიანობისა და შემოსავლიანობის გადიდებისათვის. ასეთი მუშაობა, როგორც უკვე აღინიშნა, პარტიამ შეასრულა. შედეგად ახლა გვყავს უფრო მტკიცე კოლმეურნეობანი დიდად განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობით. აი ზოგიერთი ცნობა.

კოლმეურნეობათა საშუალო მაჩვენებლები სსრ კავშირში და ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რაიონებში

	ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 1949 წელს	1957 წელს
სსრ კავშირში		
ხნული	557 ჰექტარი	1.954 ჰექტარი
მთელი ფულადი შემოსავალი	111 ათასი მან.	1 მილიონ 247 ათასი მან.
ბელორუსიის სსრ		
ხნული	308 ჰექტარი	1.199 ჰექტარი
მთელი ფულადი შემოსავალი	36 ათასი მან.	1 მილიონი მან.
სმოლენსკის ოლქი		
ხნული	215 ჰექტარი	1.153 ჰექტარი
მთელი ფულადი შემოსავალი	37 ათასი მან.	832 ათასი მან.

ამასთან დამახასიათებელია, რომ თუ ხნულის ოდენობა ბელორუსიაში, მაგალითად, საშუალოდ კოლმეურნეობაზე გადიდდა ოთხჯერზე ნაკლებად ფულადი შემოსავალი საშუალოდ კოლმეურნეობაზე თითქმის 30-ჯერ გადიდდა; სმოლენსკის ოლქში ხნულის ოდენობა საშუალოდ კოლმეურნეობაზე ხუთჯერ გადიდდა, ხოლო ფულადი შემოსავალი 22-ჯერ. ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობაში მომუშავე ერთ შრომისუნარიანზე გაანგარიშებით ამ ხანში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 3,6-ჯერ. ხოლო ბელორუსიის სს რესპუბლიკასა და სმოლენსკის ოლქში — თითქმის შვიდჯერ.

აქედან ჩანს, რომ კოლმეურნეობები სხვა გახდნენ, ვიდრე ომისშემდგომ პირველ წლებში იყვნენ. ისინი გამსხვილდნენ, გაიზარდა მათი შემოსავალი, გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, შრომის ნაყოფიერება და ანაზღაურება.

მაგრამ, ამხანაგებო, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში არის დაუშრეტელი შესაძლებლობა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის გაიაფებისათვის. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს რეზერვები.

ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, მათთვის გაწეულმა მატერიალურმა დახმარებამ და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში, მთელი სოფლის მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში.

აი რა ვითარებაში და რა საფუძველზე აყენებს ახლა პარტია ამოცანას, რომ კოლმეურნეობებს მიეყიდოს ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. პარტია ემყარება არა საკოლმეურნეო წყობილების სისუსტეს, არამედ მის ძალას. ეს არის ძირეული განსხვავება კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის საკითხის ახლანდელ დაყენებასა და იმ წინადადებებს შორის, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ცალკეულმა ეკონომისტებმა წამოაყენეს.

მტს-ების მეშვეობით საწარმოო-ტექნიკური მომსახურებიდან კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა მანქანების თავისუფალ მიყიდვაზე გადასვლა ნიშნავს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის აყვანას უმაღლეს დონეზე. მტს-ების რეორგანიზაციით ფართოვდება კოლმეურნეობების ეკონომიური კავშირი სოციალისტურ მრეწველობასთან, ქალაქის საწარმოო დახმარება სოფლისადმი იზრდება და სულ უფრო მრავალმხრივი ხდება. ახალ პირობებში ეს დახმარება განხორციელდება სხვადასხვა ფორმით და უფრო ფართო მასშტაბით ტრაქტორებით, მანქანებით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, ტრანსპორტით, სასუქით კოლმეურნეობების მომარაგების, სამრეწველო საწარმოთა საწარმოო ტექნიკური გამოცდილების კოლმეურნეობებისათვის გადაცემის გზით. კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მიეცემათ განახორციელონ თავიანთი შეკვეთები ახალ, უფრო სრულყოფილ ტექნიკაზე, რომელიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის მეურნეობათა სპეციფიკურ მოთხოვნილებებს. კოლმეურნეობებისათვის მანქანების მიყიდვა განამტკიცებს კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების განვითარებას, მათი განუყოფელი ფონდების ზრდას, რომლებიც წარმოადგენენ საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმტკიცის ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის გამარჯვების შემდეგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ახლანდელი რეორგანიზაცია ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობაში. ახლა ერთ ხელში იყრის თავს სახელმწიფოს კუთვნილი, მაგრამ კოლმეურნეობებისათვის სამუდამო სარგებლობაში გადაცემული მიწა და მანქანები, როცა გაბატონებულია სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა, როცა ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ამრიგად, ჩნდება ახალი სტიმული შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების საკმარისობის, ხოლო შემდეგ სიუხვის შექმნისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სანამ მტს-ების რეორგანიზაციის საკითხს ფართო განხილვისათვის გამოიტანდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოეთათბირა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მტს-ების დირექტორებს, პარტიულ მუშაკებს, მეცნიერებს. ყველა მათგანმა ეს პრობლემა მომწიფებულად და გადაუდებლად ცნო. ეს საკითხი ყოველმხრივ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც შეიმუშავა ძირითადი ღონისძიებანი და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა ისინი. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, რომლებიც გამოვიდნენ მშრომელთა კრებებზე, პრესაში, რადიოთი, ერთსულოვნად მოიწონა ეს ღონისძიებანი, როგორც სავსებით მომწიფებული და დროული.

ამ საკითხის განხილვისას საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნება საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მომწიფებული საქმეა, რომელიც შეესაბამება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

IV

სოციალისტური საკუთრების ორი ფორმისა და მათი განვითარების შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო!

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ამჟამად დასახული ამოცანა ეხება ზოგიერთ თეორიულ საკითხს, რომლებიც სერიოზული ყურადღების ღირსია.

ცალკეულ ამხანაგებს, უმთავრესად ეკონომისტთა რიცხვიდან, მიაჩნდათ, რომ მტს-ების რეორგანიზაციასთან ერთად წარმოიშობა გაუგებრობა მთელ რიგ თეორიულ საკითხებში, კერძოდ საკუთრების ორი ფორმის საკითხში. ემყარებოდნენ რა იმ წანამძღვარს, რომ კომუნიზმზე გადასვლა მოითხოვს საერთო-სახალხო საკუთრების ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ამაღლებას საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ისინი გამოთქვამდნენ შიშს: ხომ არ ეწინააღმდეგება მტს-ების დასახული რეორგანიზაცია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ხომ არ შევასუსტებთ კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების მიყიდვით საერთო-სახალხო საკუთრებას? ისმებოდა აგრეთვე კითხვა, თუ სოციალისტური სოფლის მეურნეობის რა ფორმა უფრო შეესაბამება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს — საკოლმეურნეო თუ საბჭოთა მეურნეობებისა? რამდენადაც საბჭოთა მეურნეობა არის მეურნეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო-სახალხო საკუთრება, ხომ არ უნდა გადავიყვანოთ კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობის ფორმაზე?

ნება მიბოძეთ აზრი გამოვთქვა ამ საკითხებზე. უწინარეს ყოვლისა საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო საკუთრების შესახებ. ზოგიერთი მუშაკი ამბობს: თუ ჩვენ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს მივყიდით კოლმეურნეობებს, ამით განვამტკიცებთ საკოლმეურნეო საკუთრებას და დავასუსტებთ სახელმწიფო საკუთრებას, რომელიც უმაღლესი ფორმის საკუთრებაა.

მე ვფიქრობ, საკითხის ასე დაყენება არსებითად სწორი არ არის. სწორია, რომ საერთო-სახალხო საკუთრება საკუთრების უმაღლესი ფორმაა. ასე ესმოდა იგი ვ. ი. ლენინს. მაგრამ ამასთან ერთად ლენინი საერთო-სახალხო საკუთრებას როდი უპირისპირებდა კოოპერაციულ საკუთრებას. პირიქით, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საკუთრების როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა სოციალისტურია, ერთიც და მეორეც ემსახურება ხალხის ინტერესებს, ჩვენს საერთო მიზანს — კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

კოოპერაციულ გეგმას რომ ამუშავებდა, ლენინი იმას ემყარებოდა, რომ კოოპერაციას ჩვენში, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებათა მეოხებით. სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ კოოპერაციის ზრდა ჩვენს პირობებში იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდა. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ლენინმა ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რამდენიმე თვის შემდეგ, გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა კოოპერაციის თვისებრივად სრულიად ახალი როლი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში: „...კოოპერატივების მდგომარეობა, — წერდა იგი, — პრინციპულად სავსებით იცვლება პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის დროიდან, იმ მომენტიდან, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება შეუდგა სოციალისტური წესების სისტემატურ შექმნას. აქ რაოდენობა გადადის თვისებაში. კოოპერატივი, როგორც პატარა კუნძული კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არის დუქანი, კოოპერატივი, თუ იგი მოიცავს საზოგადოებას, რომელშიც სოციალიზებულია მიწა და ნაციონალიზებულია ფაბრიკა-ქარხნები, არის სოციალიზმი" (თხზ., ტომი 27, გვ. 249).

ასე გვიჩვენებდა ლენინი დიალექტიკას საკუთრების კოოპერაციული ფორმის განვითარებაში და ჩვენ უნდა გავყვეთ ამ მაგალითს, დავინახოთ და სწორად გავიგოთ საკოლმეურნეო-კოოპერაციული წყობილების შემდგომი განვითარება.

რა თქმა უნდა, საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებასა და საერთო-სახალხო საკუთრებას შორის გარკვეული განსხვავებაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთისა და იმავეს, სახელდობრ წარმოების სოციალისტური წესის, განვითარების სხვადასხვა ფორმაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საერთო-სახალხო საკუთრებას განსაზოგადოების უფრო მაღალი დონე აქვს, ხოლო საკოლმეურნეო საკუთრებას — განსაზოგადოების ნაკლებ მაღალი დონე. მაშასადამე, საქმე იმას ეხება, რომ თანდათანობით ავამაღლოთ საკოლმეურნეო საკუთრების განსაზოგადოების დონე და ამრიგად ავიყვანოთ იგი საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? მხოლოდ როგორც საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი, ისე კოოპერაციული, საკოლმეურნეო საკუთრების შემდგომი განვითარების გზით. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის დასახული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ საკოლმეურნეო საკუთრების გაფართოებას და მის დაახლოებას საერთო-სახალხო საკუთრებასთან.

მაშ რატომ უნდა გვაშინებდეს საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერება? თუ სოციალისტური საკუთრების ერთ ფორმას დავუპირისპირებთ მის მეორე ფორმას, თუ ასეთ პოზიციაზე დავდგებით და არ მივყიდით ტექნიკას კოლმეურნეობებს, არ განვამტკიცებთ საკოლმეურნეო საკუთრებას, როგორც სოციალისტურს, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ დაინტერესებული არა ვართ საკოლმეურნეო წარმოების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით, მისი შემოსავლიანობის ზრდით. პარტია კი ცდილობს, რომ კოლმეურნეობებმა გაადიდონ პროდუქტების წარმოება, გაადიდონ შემოსავალი, გაზარდონ განუყოფელი ფონდები და ამით გაამრავლონ კოოპერაციული საკუთრება. თუ იმ თვალსაზრისს დავადგებით, რომ ეს საკუთრება სრულფასოვანი არ არის, რომ იგი ეწინააღმდეგება კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს, ეს იქნება კატასტროფა, სიკვდილი საკოლმეურნეო წყობილებისათვის.

საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გამოიწვიოს შიში, თუ მას მოჰყვება ძირეული ცვლილებები საკუთრების ორი ფორმის — საერთო-სახალხო და კოოპერაციული საკუთრების თანაფარდობაში, წარმოების სახელმწიფო სექტორის წამყვანი როლის დასუსტება. მაგრამ, როგორც ცნობილია, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში ასეთი ცვლილებები არ არის და არც შეიძლება იყოს.

კოოპერაციული საკუთრება არ ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის თეორიულ დებულებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებების გზების შესახებ, რადგან კომუნიზმის გზა გადის როგორც საერთო-სახალხო, ისე კოოპერაციული საკუთრების განვითარებაზე.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ისინი, ვისაც აშინებს საკოლმეურნეო საკუთრების განვითარება, ამ საკუთრებას უყურებენ კოლექტივიზაციის დაწყებითი პერიოდის პოზიციებიდან და ივიწყებენ, რომ არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც საკოლმეურნეო საკუთრება ახლა სხვა გახდა, ვიდრე იგი 25-30 წლის წინათ იყო.

მართლაც, რას წარმოადგენდა საკოლმეურნეო საკუთრება, ვთქვათ, 1929-30 წლებში? ეს იყო გლეხთა ქონების — ცხენების, გუთნების, კავების, ფარცხების, ზოგიერთი საზოგადო ნაგებობის უბრალო შეკრება, განსაზოგადოება. რა თქმა უნდა, მაშინაც იგი პროგრესულ როლს ასრულებდა, რადგან უზრუნველყოფდა შრომის უფრო დიდ ნაყოფიერებას და გამორიცხავდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობას.

მაგრამ იმ პერიოდსა და დღევანდელ დღეს შორის დიდი ეტაპია, საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მისი ეკონომიკის აღმავლობისათვის, საბჭოთა სოფლის მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებისათვის დაძაბული ბრძოლის წლებია.

კოლმეურნეობათა ახლანდელი საკუთრება შექმნილია კოლმეურნეთა კოლექტიური შრომით მუშათა კლასის, მთელი ჩვენი ხალხის ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით. იგი შედგება ფართოდ განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობისაგან. დიდად გაიზარდა წარმოების საკოლმეურნეო საშუალებანი, რომელთა შემადგენლობაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს თანამედროვე მანქანური ტექნიკა. კოლმეურნეობათა მანქანებისა და ენერგეტიკულ საშუალებათა საერთო ღირებულება 24 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ახორციელებენ რა კომუნისტური მშენებლობის გეგმებს, პარტია და მთავრობა არასოდეს არ უყურებდნენ კოლმეურნეობებს როგორც უცხო სხეულს სოციალისტურ ორგანიზმში, არამედ მუდამ მიაჩნდათ ისინი მეურნეობის სოციალისტური სისტემის შემადგენელ და სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან ნაწილად.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ურთიერთობაში არასოდეს არ სჭარბობდა კომერციული ინტერესები, როგორც ეს ხდება კაპიტალისტური საზოგადოების ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში. ამის დასამტკიცებლად შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი. ცნობილია, რომ კოლმეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ გამომუშავებული თანხა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ფაქტიურად იღებდნენ ისინი თავიანთი მუშაობისათვის. ზოგიერთი კოლმეურნეობანი, განსაკუთრებით ეკონომიურად სუსტნი, ხშირად ვალში რჩებიან სახელმწიფოს წინაშე მტს-ის მუშაობისათვის ანგარიშის გასწორების შემდეგ. მაგრამ ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვალისათვის საჯარო ვაჭრობით გაეყიდოთ მეურნეობა. პირიქით, სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაეძლიერებინა ასეთ კოლმეურნეობათა ეკონომიკა.

სახელმწიფო ამზადებს კადრებს კოლმეურნეობებისათვის და ამაზე მრავალ მილიარდ მანეთს ხარჯავს. რას ხმარდება ეს სახსრები? ეს ხმარდება კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცებას. სახელმწიფო მილიარდობით კრედიტს აძლევს კოლმეურნეობებს. ამასთან არა კომერციულ საფუძველზე. გარკვეულ პერიოდებში, როცა კოლმეურნეობები სუსტი იყვნენ, მათ ჩამოეწერებოდათ ხოლმე ვალი, რომელიც ასეულ მილიონობით მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეობებისათვის არაერთხელ მიგვიცია სესხი თესლით, სურსათით და სხვ. ამ სესხთა ნაწილს კოლმეურნეობები აბრუნებდნენ, ხოლო საკმაოდ დიდი წილი ჩამოეწერებოდათ ხოლმე.

კოლმეურნეებს ესმით, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, საკოლმეურნეო სიმდიდრის ზრდა მათი მრავალი წლის კოლექტიური შრომისა და იმის შედეგია, რომ სახელმწიფო უდიდეს მატერიალურ დახმარებას უწევს მათ. მანქანებში, რომლებსაც კოლმეურნეობები ფლობენ, მათს საწარმოო შენობებში, მათი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში ჩაქსოვილია კოლმეურნის, მუშის, მეცნიერის შრომა. ამრიგად, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ სიმდიდრეს ქმნის კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით.

კოლმეურნეობათა არსებობის პირველი დღეებიდანვე მათი საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს განუყოფელი ფონდები. საკოლმეურნეო წარმოების ზრდასთან, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან ერთად განუწყვეტლივ დიდდება განუყოფელი ფონდებიც. 1958 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების მოცულობამ გადააჭარბა 100 მილიარდ მანეთს, 1932 წელს კი 4,7 მილიარდ მანეთს შეადგენდა. ამასთან შეიცვალა განუყოფელი ფონდების ხასიათიც.

საკოლმეურნეო ეკონომიკის განვითარების პროცესი იმგვარად მიმდინარეობს, რომ განუყოფელი ფონდები განუწყვეტლივ იზრდება და თვისებრივად სხვა ხდება, სულ უფრო უახლოვდება რა თავისი სტრუქტურითა და თავისი საზოგადოებრივი ხასიათით საერთო-სახალხო საწარმოო ფონდებს. ბევრ კოლმეურნეობას აქვს თავისი ელექტროსადგური, აგრეთვე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დამხმარე საწარმოები. სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა საკოლმეურნეოთაშორისო ელექტროსადგურების, სარწყავი არხების, წყალსაცავების, გზების მშენებლობას, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობას. ასეთი გზით კოლმეურნეობები აერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც სცილდება ცალკე არტელთა ფარგლებს, და ქმნიან ნაგებობებს, რომლებსაც არსებითად საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვთ. ძნელი არ არის დავინახოთ ამაში საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებად გადაზრდის ელემენტები.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში წლითიწლობით ძლიერდება წამყვანი როლი სოციალისტური მრეწველობისა, რომელიც სოფლის მეურნეობას აიარაღებს თანამედროვე ტექნიკით, უდიდეს დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს მათი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში.

ავიღოთ ერთი მრავალთაგანი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება თანამედროვე პირობებში.

ბელორუსიის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „განთიადი", რომლის თავმჯდომარეა ამხ. ორლოვსკი, კოლექტივიზაციის დასაწყისში, ისევე როგორც სხვა კოლმეურნეობებს, სულ რამდენიმე ათეული ცხენი ჰყავდა და წვრილი ინვენტარი ჰქონდა. ახლა ამ კოლმეურნეობაში შექმნილია კარგი საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები, მას ჰყავს ათასობით სული საზოგადოებრივი პირუტყვი, აქვს დიდი ბაღი, ოცდაათზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, ელექტროსადგური, 70 ელექტრომოტორი, მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები. კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი, რომელიც წარსულში რამდენიმე ათეულ ათას მანეთს შეადგენდა, ახლა 23 მილიონ მანეთს აღემატება. საზოგადოებრივი მეურნეობისაგან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა გასულ წელს 17 მილიონი მანეთი შეადგინა.

ვის ეკუთვნის ამ მსხვილი, ეკონომიურად განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობის საწარმოო ფონდები? ეს ფონდები ეკუთვნის კოლმეურნეთა კოლექტივს, მაგრამ თვითონ კოლმეურნეებს, რომლებიც ამ ფონდებს განაგებენ, სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მათი საზოგადოებრივი სიმდიდრე შექმნა მუშათა კლასის დიდი მონაწილეობით, საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით.

თავიანთ საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგებს, არტელ „განთიადის" კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაადგინეს გაადიდონ ანარიცხები განუყოფელ ფონდში ფულადი შემოსავლის 25-30 პროცენტამდე ნაცვლად 15 პროცენტისა, რაც წინათ გადაირიცხებოდა. მეტად დამახასიათებელია კოლმეურნეთა ერთსულოვანი განცხადებანი ამავე კრებაზე იმის შესახებ, რომ მათ თავიანთი კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი საერთო-სახალხო საკუთრებად მიაჩნიათ რამდენადაც იგი მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა.

ასეთ დასკვნებამდე მივიდნენ ბევრი სხვა კოლმეურნეობის წევრებიც.

მტს-ების რეორგანიზაციის საკითხის განხილვის დროს კრასნოდარის მხარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბაბენკომ საერთო კრებაზე თქვა:

„ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს არ დაუშურებია არც ძალღონე, არც სახსრები, რათა კოლმეურნეობები გაზრდილიყვნენ და ეკონომიურად განმტკიცებულიყვნენ. ჩვენ სისტემატურად გვაძლევდნენ ფულად კრედიტებს, სესხად გვაძლევდნენ თესლს, გვაძლევდნენ სხვა სესხებს. ყველა ჩვენგანს ესმის, რომ საკოლმეურნეო სიმდიდრის ზრდა იმის შედეგია, რომ სახელმწიფო უდიდეს მატერიალურ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო წყობილებას".

კალინინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა საერთო კრებამ აგრეთვე ერთსულოვნად მოითხოვა, რომ კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი საერთო-სახალხო საკუთრებად ითვლებოდეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რედაქტორი ჰ. რატიანი.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ № 14.